

წინარენოსტრატული ენის აღდგენის შესახებ

კუკური ფიფია

ელ.-ფოსტა: kukuri_phiphia@yahoo.com

მისამართი: გარდაბნის გზატკეცილი №6, ბინა 21, თბილისი, 0137, საქართველო

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განიხილება მეტყველებისა და წინარენოსტრატული ენის წარმოშობის პრობლემა, რომელიც ენათმეცნიერებს, დღემდე, გადაუჭრელ ამოცანად მიაჩნიათ.

აქ წარმოდგენილია ჩვენი კვლევები შემდეგ საკითხებზე:

1. როგორ იდგამდნენ პირველოფილი ადამიანები ენას და რის საფუძველზე არქმევდნენ საგნებსა და მოვლენებს შესაბამის სახელებს;

2. როგორ ცდილობდნენ ისინი აზრის გამოხატვას;

3. წინარენოსტრატული ენის რა კვალი და მონაცემები შემოინახა ქართველურმა ენამ.

ჩვენი მიზანია წინარენოსტრატული ენის ლექსიკის აღდგენა, რისთვისაც აუცილებელი გახდა ქართველურ ენაში დადასტურებული ბგერა-სიტყვებისა და ბგერათა ჰარმონიული კომპლექსების, ანუ თანხმოვნისა და ნეიტრალური **გქა** ხმოვნისაგან, ასევე, ბგერათა ჰარმონიული კომპლექსისა და ნეიტრალური ხმოვნისაგან შემდგარ ფუძე სიტყვათა შესწავლა.

ნაშრომში წარმოდგენილია წინარენოსტრატული ენის ლექსიკონი, აგრეთვე, ქართველური სიტყვების რეკონსტრუქციის საშუალებით წინარენოსტრატული ენის არქტიპების აღდგენის მეთოდი. ეს არქტიპები წარმოდგენდნენ ბუნებისგან ნაკარნახევ ბგერა-სიტყვებს და ბგერათა ჰარმონიულ კომპლექსებს, რომლებიც რაღაც აზრის გადმოსაცემად, თავის მხრივ, ქმნიდნენ არაგრამატიზირებულ წინადადებებს. აქვე წამოდგენილია წინარენოსტრატული ენის არაგრამატიზირებულ წინადადებებში შემავალი არქტიპების გაერთიანებისა და შემდგომი ფონეტიკური ცვლილებების შედეგად თანამედროვე სიტყვების ჩამოყალიბების მაგალითები.

საკვანძო სიტყვები

ბგერა-სიტყვა, ბგერათა ჰარმონიული კომპლექსი, წინარენოსტრატული ენა, ქართველური ენა.

შესავალი

„დასაბამიდან იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა. ის იყო დასაბამიდან ღმერთთან.

ყველაფერი მის მიერ შეიქმნა და უმისოდ არაფერი შექმნილა, რაც კი შეიქმნა. მასში იყო სიცოცხლე და სიცოცხლე იყო ნათელი კაცთა“ (იოან. 1.1:4).

ცნობილია, რომ ოდესღაც დედამიწაზე ერთადერთი ენა ფუნქციონირებდა (დაბ. 11.1). მაგრამ მისი აღდგენა მეცნიერებას შეუძლებლად მიაჩნია, რადგან ამ ენის კვალი და ენობრივი მონაცემები კაცობრიობისათვის სამარადისოდ დაკარგულად წარმოუდგენია. მაგრამ ცნობილია ჭეშმარიტება, რომ **ბუნებაში არაფერი იკარგება, შესაძლოა მხოლოდ ერთი სახიდან მეორეზე გარდაქმნა**. ამიტომ ოდესღაც არსებულის მოძიების შესაძლებლობის უარყოფა მხოლოდ საკუთარი უსუსურობის აღიარებაა და სხვა არაფერი.

არქეოლოგიური აღმოჩენებიდან ცნობილია, რომ ოდესღაც ადამიანი ველური არსება იყო. უნდა ვივარაუდოთ, რომ იმ ხანად ადამიანი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ თვითგადარჩენის ინსტიქტისა და

დაუნაწევრებელი ბგერების გაღების უნარის მქონე და არა რაიმე ცნების (მნიშვნელობის) გამომხატველი, მაგრამ აღჭურვილი სენსორული გრძნობის ორგანოებით, განსაკუთრებული მეხსიერებითა და განვითარების შესაძლებლობით. უნდა ვივარაუდოთ, რომ ადამიანს თანდათანობით უნვითარდებოდა ბუნებისგან გაღებული ბგერების აღქმისა და მათზე ხმაბაძვის უნარი, მაგრამ ის თავიდან, ალბათ, მარტივ, თითო თანხმონით გამოხატულ ბგერებს აღიქვამდა, შემდგომ კი უფრო რთული ბგერათა კომპლექსის აღქმელი გახდა. მაგ., ქვის ქვაზე დარტყმით მიღებული ბგერა **k'a**, ან თოვლის ფიფქის თავზე და მხრებზე დაცემისას მიღებული ბგერა **t'a** ადამიანს უფრო ადრე შეეძლო აღიქვა, ვიდრე ირმის მიერ გაღებული **aramaa**, ან ოფოფის მიერ გაღებული **aph'aph**. ე.ი. ბუნებაში არსებულ რეალობებზე ხმაბაძვით არქმევდა, თანდათანობით, ადამიანი ამ რეალობებს შესაბამის სახელებს, რაც ბიბლიური გადმოცემითაც დასტურდება: „**გამოსახა უფალმა ღმერთმა მიწისაგან ველის ყველა ცხოველი და ცის ყველა ფრინველი და მიჰგვარა ადამს, რომ ენახა, რას დაარქმევდა. რომელ სუღღგმულს რას დაარქმევდა ადამი, მისი სახელიც ის იქნებოდა**“ (დაბ. 2.19).

აქედან ცხადია, რომ პირველყოფილმა ადამიანმა ბუნების მიერ გაღებულ ბგერებზე ხმაბაძვით აიღვა ენა და მათზე ხმაბაძვით შეარქვა საგნებსა და მოვლენებს შესაბამისი სახელები. ეს გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ: **პირველყოფილ ადამიანთა სამეტყველო ენა იყო ბუნების ენა**. ხოლო ბუნების ენის შიგნით ენობრივ განსხვავებებს განაპირობებდა დედამიწის სხვადასხვა ტერიტორიაზე ბუნების მრავალფეროვნებასა და მრავალსახეობაში განსხვავებები, რითაც უნდა იყოს გამოწვეული სხვადასხვა ენებში სამეტყველო ბგერების – ფონემების რაოდენობრივი განსხვავებულობა.

შესაძლოა, ზემოაღნიშნულის გამო, დედამიწის სხვადასხვა ტერიტორიაზე ადგილი ჰქონოდა ბუნების ენის დიალექტურ განსხვავებებს, მაგრამ ბუნების, იგივე, „ადამის ენა“ დედამიწის მთელ ტერიტორიაზე, ძირითადად, ერთი უნდა ყოფილიყო. ეს ჰიპოთეზა დასტურდება მრავალ სხვადასხვა ენაში კანონზომიერი შესატყვისი ბგერებისა და სიტყვების არსებობით (Bomhard, 2018), რომლებიც, ჩვენი აზრით, ერთი ძირისეული ენიდან, ანუ ბუნების ენიდან მომდინარეობენ.


ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანის გადაჭრაში დიდად დაგვეხმარა დღეს ქართველურ ენად წოდებული მეგრული, იგივე, იბერიული ენა, რომელსაც საკმაოდ მდიდარი მონაცემები აქვს შემონახული წინარენოსტრატული, ანუ „ადამის ენაზე“.

მეგრულ და ქართულ ურთიერთშესატყვის სიტყვათა შედარებითი ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ქართული ენა იბერიული ენის დედატანიდან ამოზრდილი და შემდგომ მას აზრდილი (მეგრულად, **ardili/k^hardili**) ენაა. აქედანაა ნაწარმოები ეთნიკური სახელწოდება **k^hart^li** (← **k^hardi**).

ასურულ წყაროებში მოხსენიებული **t^habali**, ბერძნულ და ლათინურ ლიტერატურულ წყაროებში **t^hibari** და **t^hiberi**, ბერძნულ ბიბლიაში **t^hobeli**, ებრაულში – **t^hubali**, ქართულში – **t^huvali** (ნ. ხაზარაძე, 1967), მოწმობენ, რომ სხვადასხვა ენაზე სხვადასხვა ფონეტიკური ცვლილებები განიცადეს, თორემ, ყველა ისინი ერთი ძირისეული ფორმიდან **t^habara** ნაწარმოები ალომორფებია. ხოლო ძირისეული არაგრამატიზირებული წინადადება **t^ha ba ra** ნიშნავს: „[უხენავს] ნათელთან მოკავშირედ ყოფიერი“. აქედანაა ნაწარმოები ეთნიკური სახელწოდება **iberi** (← **t^hiberi**), ხოლო **iberi**-დან კი ეთნიკური სახელწოდება **megreli** (**iberi** → **igeri** → **egeri** → **egri** → **megri** → **megreli**).

ქართულ, მეგრულ (იგივე, იბერიულ), ლაზურ-ჭანურ და სვანურ ენებში დადასტურებულია მრავალი ერთი საერთო ძირიდან წარმოშობილი ურთიერთშესატყვისი სიტყვების არსებობა (პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, 2000), რაც იმის მტკიცებულებაა, რომ ისინი ერთი ფუძე ენის დიფერენციის შედეგს

წარმოადგენენ. მაგრამ, რადგანაც საერთო სალიტერატურო ქართულად წოდებულ ენაში დადასტურებული ეროვნული წარმოშობის ლექსიკის ეტიმოლოგიას ხსნის მხოლოდ იბერიული ენა, სხვა ქართველურად წოდებული ენები კი ვერა, ამასთან, შეუდარებელი რაოდენობის საგრამატიზაციო საშუალებებისა და, შესაბამისად, უმდიდრესი ლექსიკური ფონდის მფლობელ იბერიულ ენას დედამიწაზე ალტერნატივა არ გააჩნია (მ. ძაძამია და სხვ., 2007), მიუთითებს, რომ დეცტერსისეული, ჩიქობავასეული და ქურდიანისეული ე.წ. ქართველური ენების ურთიერთ მიმართების სქემა არასწორია. არასწორია თვით ტერმინიც „ქართველური“, რადგან ის ენები, რომლებიც ამ ტერმინის ქვეშ მოიაზრება, იბერიული ენიდან გამოყოფილი ენებია და არა ქართულიდან. იბერიული ენის პირველადობას ადასტურებს აკად. თაყაიშვილის სტატია „როდის შეიქცავლა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ“ (თაყაიშვილი, 1948) და 2015 წელს გრაკლიანის გორაზე აღმოჩენილი, 3000 წლის წინანდელი, ლიგატურის გამოყენებითა და ასომთავრულ-მხედრული დამწერლობით შესრულებული მეგრული(იბერიული) წარწერა „k^hiana mi?orc“ - „ქვეყნიერება მიყვარს“ (ფიფია კ. 2017). და კიდევ, რამდენადაც მხოლოდ იბერიული ენა წვდება „ადამის ენის“ სიღრმეებში, ხოლო ასეთი შესაძლებლობის სხვა ენა ჯერჯერობით დადასტურებული არ არის, „ადამის“, იბერიული და ნოსტრატული ენების ურთიერთმიმართების სქემა, ა. ბომჰარდისეულ სქემასთან შეჯერებით, ასე წარმოგვიდგენია:



I. ენობრივი მონაცემები და მეცნიერული მიღწევები

როგორც აღვნიშნეთ, ენისა და მეტყველების წარმოშობის კვალი და მონაცემები მეცნიერებს სამარადისოდ დაკარგული ეგონათ (გ. ნებიერიძე, 1981, გვ. 50) და 1866 წლიდან მოყოლებული, ენისა და მეტყველების წარმოშობაზე კვლევის ინტერესი, ბუნებრივია, შენელებული იყო, მაგრამ იმ კანონზომიერების საფუძველზე, რომ პრობლემა არ წარმოიშობა, თუ არ არსებობს მისი გადაჭრის

შესაძლებლობა, ეს ინტერესი მთლად არ ჩამკვდარა და ჩვენი კვლევებიც ცარიელ ნიდაგზე არ წარმოებულა.

აღნიშნული საკითხის შესწავლის მიმართულებით მნიშვნელოვანია გამყრელიძე-მაჭავარიანის შეხედულება: „**რამდენადაც ადრინდელ საერთო – ქართველურში თანხმონის უშუალო მეზობლობაში ყოველთვის უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ა ხმოვანი, მარცვალთა რაოდენობა სიტყვაში ხმოვანთა რაოდენობით განისაზღვრებოდა, ამ პერიოდის საერთო ქართველურში არ არსებობდა სპეციფიკური სონანტური ფონემები, როგორც საკუთრივ თანხმონებისა და ხმოვნებისადმი დაპირისპირებული ერთეულები, რამდენადაც ე ელემენტს ა ელემენტი ახლდა**“ (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1963, გვ. 370). ცნობილ ლინგვისტთა ეს აზრი სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ დღეს ნეიტრალური ა ხმოვანი ბეგრენაში არა აქვთ და ცალკე გამოთქმული ე ელემენტი აღიქმება, როგორც მნიშვნელობის არმქონე ფონემა. ამიტომ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ **თანხმონი ბგერა, ცალკე, დამოუკიდებლად გამოთქმული, ფონემის სახით, ბუნებაში არ არსებობს, დამოუკიდებლად გამოთქმულ თანხმონს მუდამ თან ახლავს მასთან ბუნებრივად მიზრდილი ნეიტრალური ა ხმოვანი**. ე.ი. ვერცერთი ერის წარმომადგენელი ვერ შეძლებს თანხმონი ბგერა, ცალკე აღებული, წარმოთქვას ა ბგერის თანხლების გარეშე. ამიტომ აქვთ იბერიულ ენაში დამოუკიდებლად გამოთქმულ თანხმონ ბგერებს სრული სიტყვის მნიშვნელობა. ამიტომ ვუწოდებთ მათ **ბგერა-სიტყვებს**. იგივე კანონზომიერება ვრცელდება ბგერათა ჰარმონიულ კომპლექსებზე, რომლებიც, ასევე, ბუნებაში არ არსებობენ ნეიტრალური ა ბგერის თანხლების გარეშე და, სწორედ, ა ბგერა ანიჭებს მათ მნიშვნელობებს, რომლის გარეშე, როგორც სიტყვის შემადგენლობიდან გამოტანილ ცალკეულ ფონემებს, მნიშვნელობები არც მათ გააჩნიათ.

დღეს სხვადასხვა ენებში არსებობს, როგორც ბუნებრივი წარმოშობის, ისე სოციუმში ჩამოყალიბებული ბგერათა ჰარმონიული კომპლექსები. ამ უკანასკნელის სოციუმში წარმოშობას საფუძვლად უნდა დასდებოდა პირველყოფილ არაგრამატიზირებულ წინადადებებში შემავალი არქტიპების გაერთიანების შედეგად მიღებულ უფრო მსხვილ სიტყვებში ა ხმოვნის შეკვეცა. ასეთ ფონეტიკურ მოვლენას ადგილი უნდა ჰქონოდა, სიტყვაში ზოგ ადგილას, ნეიტრალურ ა ხმოვანზე მახვილის სისუსტის გამო. სიტყვაში ხმოვნის შეკვეცის (სინკოპირების) მიზეზს გამყრელიძე-მაჭავარიანი ასე ხსნიან: „**ერთ-ერთ შესაძლო ახსნას ხმოვანთა სინკოპირების მიზეზებისას წარმოდგენს დაშვება საერთო ქართველურის განვითარების ადრინდელ საფეხურზე, მოძრავი დინამიკური მახვილისა, რომლის გავლენითაც უმახვილო ხმოვანთა დასუსტება-დაკარგვა ხდებოდა**“ (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965, გვ. 370). შედეგად, ნაცვლად ფორმისა **caca**, მიიღებოდა ბგერათა ჰარმონიული კომპლექსი **caa**.

მიუხედავად ცნობილი ავტორიტეტის თ. გამყრელიძის და გ. მაჭავარიანის წარმოდგენილი ნაშრომისა („**სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში**“), მეგრული (იბერიული) ენის ფენომენი სერიოზულად დღემდე არ არის შესწავლილი.

იბერიულ ენას შემონახული აქვს ძლიერი უარყოფითი ემოციის დროს გაღებადი, სხვადასხვა ცხოველებისათვის დამახასიათებელი, სპეციფიკური ბგერადობის მსგავსი, ადამიანის მიერ ენის ადგამდღე, ბუნებრივი, ველური ცხოველების დროიდან თანდაყოლილი სასოწარკვეთისა და საშინელების გამომხატველი შორისდებული **vaavaa-vaava**(ქალები) და **vo-va, va-va** (კაცები და დღესაც გამოიყენება უარყოფისა და უარყოფითის გამოსახატავად ბგერა-სიტყვა **va** (→**va/ve**). სწორედ ამ და მსგავსი არქაული

ხანის სიტყვების შესწავლის საფუძველზე ამბობდა აკად. ნიკო მარი: „იაფეტურ ენათ ოჯახის საშუალებას გვაძლევს მათი შედარებითი შესწავლის გზით მივადწიოთ, სადაც კაცობრიულ ენას და ცხოველთა მეტყველების ზღვარი ძევს“ (ნიკო მარი, 1923, გვ. 42).

სამეტყველო ბგერების, სიტყვათწარმომავლობისა და ენის წარმოშობაზე აღსანიშნავია მ. და ც. ძაძამიების შეხედულებანი: „მეგრულის თანხმომავანი სიტყვები ასეთებად გვევლინებიან მხოლოდ და მხოლოდ ერთი გარკვეული პირობით, როცა მათ თან ახლავს ნახევარხმომავანი ა. უამისოდ კი, ერთეული თანხმომავანი ბგერები და თანხმომავან ბგერათა ჰარმონიული კომპლექსები რაიმე ცნებებს (მნიშვნელობებს) არ წარმოადგენენ, ანუ არაფერს გამოხატავენ“ (მ. ძაძამია, ც. ძაძამია, 1997, გვ. 58); „სამეტყველო ბგერები წარმოადგენენ ბუნებაში მოცემული აუარება დაუნაწევრებელი ბგერათკომპლექსებიდან, ადამიანის მიერ, მათდამი ხმაბაძვის საფუძველზე გამომარცვლულ ფონეტიკურ (ბგერით) ერთეულებს, მოკლედ, – ფონემებს, რომლებიც, ისტორიულად გარკვეული ცნებებით, ანუ მნიშვნელობებით არიან დეტერმინირებულნი (განსაზღვრულნი)“, „...თავდაპირველი, ანუ პირველყოფილი მეტყველება, პრაქტიკულად, იყო ბუნებაში მოცემული ბგერებით, ანუ ბუნების სახეთა, – საგანთა და მოვლენათა მიერ გაღებულ ბგერებით, მათდამი ხმაბაძვის საფუძველზე, მოკლედ, ეს იყო მეტყველება ბუნების ენაზე“ (მ. ძაძამია, ც. ძაძამია, 1997, გვ. 204-205); „პირველყოფილი მეტყველება – ეს იყო მეტყველება ხმაბაძვითი ძირისეული თანხმომავანი ფორმებით, კერძოდ, ერთეული თანხმომავანით, თანხმომავან ბგერათა ჰარმონიული კომპლექსებითა და მათი განაერთებით (როცა ასეთი გვაქვს), მათთანვე ემფატიკური ნახევარხმომავანი ა ბგერის თანხლებით“ (მ. ძაძამია, ც. ძაძამია, 2007, გვ. 93). ე.ი. იმხანად, როცა არავითარი გრამატიკული საშუალებები არ არსებობდა, ადამიანები თავიანთ აზრს ერთმანეთს აგებინებდნენ ბგერა-სიტყვებისა და ბგერათა ჰარმონიული კომპლექსების კომბინაციებით. მაგრამ აღნიშნული რეალობის ავტორები ამ პრობლემას ზოგადი ფორმით, ჰიპოთეზურად წარმოგვიდგენენ. კონკრეტული მაგალითები, ან არასაკმარისად, ან, საერთოდ, არა აქვთ წარმოდგენილი. თუმცა, როცა მამა-შვილი ძაძამიები ასეთ დასკვნებს აკეთებენ, ეყრდნობიან იბერიულ ენაში დღემდე შემონახულ ბგერა-სიტყვებს, ბგერათა ჰარმონიულ კომპლექსებს და მათი განაერთების სახით არსებულ უამრავ ძირისეულ ფორმებს. მაგ., იბერიულ ენაში ხშირად იხმარება თანხმომავანი მეტყველების ეპოქიდან შემორჩენილი გამოთქმები: **k'a ča** – „რკო აჭამა“; **ša dixá sk'hara** – „სველი მიწა შრება“; **č'q'ant'a ?vali č'q'art'a** – „ჭყინტი ყველი იჭყლიტება“ და ა.შ. მაგრამ არსებობდა თუ არა, იბერიულ ენაში დღემდე შემონახული და ინტენსიურად გამოყენებადი ათი ცალთანხმომავანი ბგერა-სიტყვის (**გა, k'a, la, t'a, ša, ča, ca, ჯა, c'a** and **č'a**) გარდა, 30 თანხმომავნიდან დანარჩენი 20 თანხმომავნი წარმოდგენილი ბგერა-სიტყვა თავიანთი ომონიმებით, როგორ განჩნდნენ, საერთოდ, ბგერა-სიტყვები და ბგერათა ჰარმონიული კომპლექსები; რა კონკრეტული რეალობები გამოსცემდნენ მათ; ამასთან, „სამეტყველო ბგერები ბუნებაში არსებული აუარება დაუნაწევრებელი ბგერათკომპლექსებიდან გამომარცვლული ფონეტიკური ერთეულებია, მოკლედ ფონემებია, რომლებიც, ისტორიულად გარკვეული ცნებებით, ანუ მნიშვნელობებით არიან დეტერმინირებულნი (განსაზღვრულნი)“ (მ. ძაძამია, ც. ძაძამია, 1997, გვ. 204), თუ ბუნებაში არსებული კონკრეტული რეალობების მიერ გაღებულ და მათდამი ხმაბაძვის საფუძველზე მიღებულ ბგერა-სიტყვებში თანხმომავანისა და ნეიტრალური ხმომავანის ცალცალკე წარმოდგენის, ანუ ბგერა-სიტყვების ფონემებად შესაძლო რეკონსტრუქციის შედეგი, ჩვენამდე არავის შეუხწავლია.

იმის საფუძველზე, რომ სიტყვის შემადგენლობიდან ამოღებულ ცალკეულ ბგერას (ფონემას) არავითარი ცნება (მნიშვნელობა) არ გააჩნია, ენათმეცნიერება მნიშვნელობის მქონე სიტყვას

განიხილავს, როგორც მნიშვნელობის არმქონე ბგერითი ერთეულების გარკვეული მიმდევრობით დალაგებულ ერთობლიობას: „...მოლაპარაკეს შეუძლია მცირე (ანუ, მნიშვნელობების არმქონე, კ.წ.) ერთეულების დალაგებით, მათი გარკვეული შეერთების გზით წარმოქმნას უფრო რთული, მნიშვნელობის მატარებელი ერთეულები – სიტყვები, სიტყვების გაერთიანებით ააგოს წინადადება. მაშასადამე, გვაქვს, ერთი მხრივ, ბგერითი გამოხატულების მქონე ერთეულები, ხოლო მეორე მხრივ – ამ ერთეულთა გაერთიანების, კომბინირების წესები, ე.წ. გრამატიკა“ (თ. გამყრელიძე და სხვა, 2003. გვ. 28).

აღბათ, ასეთი მცდარი შეხედულების საფუძველზე შეიქმნა ენის წარმოშობის პირობითობის თეორია, რასაც დღემდე იზიარებს ენათმეცნიერთა დიდი ნაწილი და გაბატონებულია შემდეგი აზრი: „ენა ძირითადად შედგება ისეთი სიტყვებისაგან, რომლებიც პირობით აღნიშნავენ საგნებსა და მოვლენებს, ე.ი. ენაში მოქმედებს არა იკონურობის, არამედ პირობითობის პრინციპები“ (გ. ნებიერიძე, 1991, გვ. 17). ე.ი. სიტყვებისაგან მნიშვნელობების მიღებას რაიმე ბუნებრივი რეალობა კი არ სდებია საფუძვლად, არამედ ადამიანი თავისი გამოცდებით არქმევდა საგნებსა და მოვლენებს არამოტივირებულ და პირობით სახელებს. ასეთ შემთხვევაში, ყოველ ნაბიჯზე მოსალოდნელია შეცდომის დაშვება და, სწორედ, ასეთი მცდარი შეხედულების საფუძველზე შექმნეს, აღბათ, თავიანთი ენის პირველად ფუძე-ენად აღიარების სურვილით შეპყრობილმა სწავლულებმა, კერძოდ, ჰემატრისტებმა, სხვადასხვა ბგერითი შედგენილობის სიტყვების შერჩევითა და მათში ასონიშანთა რიცხვითი მნიშვნელობების სასურველი ჯამის ხელკონტროლად გატოვებით, თავიანთი ენის, თითქოსდა, ბუნებრივად კოდირებულის, ერთადერთის და, შესაბამისად, ღვთაებრივი წარმოშობის ილუზია. მაგრამ მათ შეხედულებას, როგორც მთელი მეცნიერული სამყარო, არც ჩვენ ვიზიარებთ, რადგან რთული, მნიშვნელობის მქონე მსხვილი ერთეულები – სიტყვები იქმნებოდა, არა მნიშვნელობის არმქონე მცირე ერთეულებისგან – ბგერებისგან (ფონემებისგან), არამედ ბუნებისგან ნაკარნახევი, მნიშვნელობის მქონე, შედარებით, მცირე ერთეულების – ბგერა-სიტყვებისა და ბგერათა ჰარმონიული კომპლექსების კომბინირებით, რომლებიც მადეტერმინირებული ნეიტრალური ა ხმოვნის გასრულხმოვნების შემდეგ, ამ სიტყვებში დღეს ფიგურირებენ მარცვლების სახით.

II. ბგერათა ჰარმონიული კომპლექსის წარმომავლობის დადგენა

წინარენოსტრატულ, ანუ „ადამის ენაზე“ მეტყველების რეალური სურათის აღსადგენად აუცილებელი შეიქმნა დაგვედინა განსახილველი ჰარმონიული კომპლექსი ბუნებაში არსებული ბგერათა ჰარმონიული კომპლექსია, თუ შემდეგდროინდელი, სოციუმისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური ცვლილების შედეგი, რადგან ცნობილია, რომ ბუნებაში არსებული ჰარმონიული კომპლექსი **c1c2** ცალკეული **c1** და **c2** ბგერა-სიტყვებად არ იშლება. ხოლო რამდენადაც სოციუმში შესაძლებელი იყო **c1** **c2** ფორმის შებრუნებული **c2 c1** ფორმით გამოთქმა და შემდგომ (ბგერა-სიტყვების გაერთიანების შემდეგ) ორ თანხმოვანს შორის არსებულ ნეიტრალურ ა ხმოვანზე მახვილის სისუსტის გამო, შეიძლება მომხდარიყო ამ ხმოვნის შეკვეცა, გვაქვს თანხმოვან ბგერათა ჰარმონიული კომპლექსის შებრუნებული ფორმებიც **c1c2** და **c2c1** მაგ., **bro-li** (crystal) და **rbi-li** (soft), **rk^ha** (horn) და **k^hro-mi** (chrome) და ა.შ. ბგერათა ჰარმონიული კომპლექსის ასეთი შებრუნებული ფორმები კი ბუნებაში არ არსებობენ. ე.ი. არ არსებობენ **t'q'a**, **ჭყა**, **ჩხა** და ა.შ. ბუნებრივი ჰარმონიული კომპლექსის შებრუნებული ფორმები **q't'a**, **ყჭა**, **ჩჩა** და ა.შ. ასევე ბუნებაში არ არსებობენ გამსხვილებული ფორმით ბგერა-სიტყვებისა და ბგერათა ჰარმონიული კომპლექსების განაერთები, რომლებიც რაიმე აზრს გადმოგვცემენ. მაგ., **caca** and **ccaca** ფორმები. ასეთი

გაერთიანებები ხდებოდა ადამიანის მიერ პირველყოფილი მეტყველების შემდეგდროინდელ ეტაპზე. ე.ი. თუ არსებობს **c1c2a** ფორმის შებრუნებული ფორმა **c2c1a** ნიშნავს, რომ **c1**-თან, ან **c2**-თან **a** ხმოვანი შეიკვეცა, თორემ ის თავდაპირველად **c1ac2a** ან **c2ac1a** ფორმით ჩაისახა.

შესაძლოა, დასაბამიდან დღემდე, მრავალი ათასწლეულების განმავლობაში, მრავალჯერადი კატაკლიზმებისა და ქარტყილების გავლენით, თავდაპირველად არსებული ბუნებისგან ნაკარნახევ ყველა ბგერა-სიტყვას და მათგან წარმოშობილ ყველა სამეტყველო ბგერას (ფონემას) ჩვენამდე ვერ მოედწია, მაგრამ მეგრულ (იგივე, იბერიულ) ენაში შემონახული ენობრივი მონაცემების საფუძველზე შეიძლება აღვადგინოთ წინარე ნოსტრატული, ანუ პირველადი ერთიანი, იგივე „ადამის ენის“ ძირითადი ლექსიკური ფონდი. ეს ლექსიკური ფონდი, შეიძლება ვიფიქროთ, შემოიფარგლებოდა მეგრულ ენაში არსებულ 30 (და მეტ) თანხმოვანზე (თუ არსებობდა 30-ზე მეტი თანხმოვანი) აგებული ბგერა-სიტყვებით, მათი ომონიმებითა და ბგერათა ჰარმონიული კომპლექსებით. მანამდე საჭიროდ მიგვაჩნია წარმოვადგინოთ ამ უკანასკნელთა წარმოშობის რამდენიმე მაგალითი.

III. ბგერა-სიტყვებისა და ბგერათა ჰარმონიული კომპლექსების წარმოშობა

ყველა ბგერა-სიტყვისა და ბგერათა ჰარმონიული კომპლექსის შესაძლო წარმოშობის მაგალითები წარმოდგენილი გვაქვს გამოსაცემად გამზადებულ წიგნში „კაცობრიობის პირველი ანბანი“. აქ წარმოვადგენთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს:

1. თუ სწრაფად (მყისიერად) გავეჭიმავთ მკვრივ ბაწარს, ან კიდევ, ორ წერტილს შორის კარგად გაჭიმულ სიმს, თუ იგივე ბაწარს ჩამოვკრავთ თითს, გავიგონებთ ბგერა-სიტყვას **h3aa**. პირველ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა **ბმის**, **კავშირის** განხორციელებას, ხოლო მეორე შემთხვევაში, განხორციელებული **ბმის**, **კავშირის** სიმშვიდის დარღვევას, რომლის დროსაც ამ რეალობებმა გამოსცეს და გავიგონეთ ბგერათა კომპლექსი **h3aa**. ამიტომ მიიღო იბერიულ ენაზე ბგერათა კომპლექსმა **ba/h3aa ბმის**, **კავშირის** მნიშვნელობა.

2. თუ ვიმყოფებით მყუდრო გარემოში და თოვლის ფიფქი გვეცემა თავზე და მხრებზე, პერიოდულად გავიგონებთ ბგერათა კომპლექსს **t^ha - t^ha - t^ha ...** თუ **t^h** ბგერის მადეტერმინირებულ ბგერას მეტი ემფაზიით, გაგრძელებული **t^haaa** ფორმით გამოვთქვამთ, წყლის თოვლის სახით, ანუ **ნათელის** ეტალონის სახით მოვლენას, სხვებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ამ ინფორმაციას მეტი დამაჯერებლობა ეძლევა. ამიტომ მიიღო ბგერა-სიტყვამ **t^ha/t^haaa**, გახმოვანების შემდეგ **t^houa → t^hova** (თოვა)-ს, გადატანითი ფორმით, **ნათელის** მოსვლის მნიშვნელობა. ბგერა-სიტყვა **t^ha** იბერიულ ენაში მე-3 პირის ზმნაა და გასრულებული, მოთავებული მოვლენის გამომხატველია, ერთხელ ჩამოვარდნილი ფიფქი მეორედ არ ჩამოვარდება. ამიტომ იტყვიან იბერიულ ენაზე **ga-t^haaa** (გა-თავა), რაც რაღაც მოქმედების, სამუშაოს ბოლომდე **გასრულებას** ნიშნავს.

3. **rarararara...** გაბმულ ბგერათა კომპლექსს გავიგონებთ ჩვენს ირგვლივ არსებული უხილავი რეალობის დიდი სიჩქარით გადაადგილებისას. აღსანიშნავია, რომ ყველა დანარჩენ 29 (თანხმოვან) ბგერა-სიტყვას ხილული რეალობები გამოსცემენ. ამ განსხვავებულობისა და განსაკუთრებულობის გამო დაეკისრა, ალბათ, ბგერა-სიტყვას **ra**, გახმოვანების შემდეგ **re** (არის)-ს სხვა რეალობების არსებობის დადასტურების ფუნქცია.

4. ძნელად მისასვლელ ადგილას შერჩენილი, გადამწიფებული მცენარეული ნაყოფი, თავისი მადის აღმძვრელი სუნით, შორიდან, საღი და საკვებად სასიამოვნო ჩანს, მაგრამ მისი ოდნავ შერხევა და გახრწნილი და უვარგისი, მიწაზე დაიქცევა ბგერათა ჰარმონიული კომპლექსის **t'q'aa** გაღებით. ამიტომ

მიიღო ჰარმონიულმა კომპლექსმა **t'q'aa** ცრუს, მოხვენებითის, ყალბის მნიშვნელობა. აქედანაა წარმოშობილი იბერიული სიტყვა **t'q'ura** (ტყუილი): **t'q'are** → **t'q'ure** → **t'q'ura** და ქართული **t'q'uili** (ტყუილი): **t'q'aire** → **t'q'uire** → **t'q'uile** → **t'q'uili**.

5. თუ მსუქან ქათამს, ცოცხალს, თუ გაპუტულ-გაწმენდილს ხელს მოუჭერთ, გავიგონებთ ბგერათა ჰარმონიულ კომპლექსს **ჟყა**, რასაც ვერ ვიტყვით მკლე ქათამზე. საერთოდ, საკვებად უვარგისად თვლიან ქათამს, რომელიც ბგერათა ასეთ ჰარმონიულ კომპლექსს არ გამოსცემს. იბერიულ ენაზე იტყვიან: **dir-ჟყა**, რომელსაც შეესატყვისება ქართული **ga-ჟყა**, ინგლისურად ?

რაც შეეხება ბგერების (ფონემების) წარმოშობას, ბგერა-სიტყვების თანხმონად და ნეიტრალურ ხმონად რეკონსტრუქციის შედეგად მათი ცალცალკე, მნიშვნელობის არმქონე უმცირეს ბგერით ერთეულებად წარმოდგენა, ბევრად ადვილად შეიძლება, ვიდრე „აუარება დაუნაწევრებელი ბგერათ კომპლექსებიდან მათი გამომარცვლა“.

IV. წინარენოსტრატული, ანუ „ადამის ენის“ ლექსიკონი

ჩვენი აზრით, მთლად სრულყოფილი ლექსიკონი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს, რადგან სრულიად მოკლე დროში შესაძლებელია წარმოიშვას ახალი სიტყვა. ასევე, შესაძლებელია დროთა განმავლობაში სიტყვამ დაკარგოს ფუნქცია და ამოვარდეს ხმარებიდან. ამიტომ, ბუნებრივია, „ადამის ენის“ სამეტყველო ფონდი, შემდგარი ძირისეული ფორმებისაგან (ბგერა-სიტყვებისა და ბგერათა ჰარმონიული კომპლექსებისაგან), ვერ იქნება სრული, მაგრამ დაახლოებით მაინც წარმოგვიდგენს იმდროინდელი მეტყველების სურათს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველყოფილი მეტყველება იყო მეტყველება ხმაბაძვითი ცალთანხმონიანი ფორმებით, ანუ ბგერა-სიტყვებით და ბგერათა ჰარმონიული კომპლექსებით, ხოლო მათი განაერთებით უფრო დრმა აზრთა გამოხატვა უფრო გვიანდელი მოვლენაა.

ჩვენი აზრით, პირველყოფილი ენის ლექსიკა დაახლოებით ასეთი უნდა ყოფილიყო:

ა) ბგერა-სიტყვები:

ბა 1. „ბმულია“; ჩხოუ **ბგ** (čhou **ბა**) – „ძროხა ბმულია“;

2. „-კილია“; გუდა ჯას მუკო-ბგ (guda žas muk'o - **ბა**) – „გუდა ხეზე კ-კილია“;

3. „-ეკილა“; ჩიტქი კუჩხით ქიმკი-ბგ (čit'ikh k'čixit k'himki -**ბა**) – „ჩიტი ფეხით ჩამო-ეკილა“; აქ სამივე სიტყვა (ბმულია, კილია, ეკილა), ზოგადად, ბმას, კავშირს გამოხატავს;

4. „-ასხა“; გეგნა-ბგ (gegna-**ბა**) – „გადა-ასხა“;

5. „-ისხა; ქიგნი-ბგ (k'higni - **ბა**) – „გადა-ისხა“. **ასხა-ისხა** ზოგადად, **სხმა**.

გა. 1. ტყის ქათამი;

2. „გავს“; სქუა მუმას გგ (sk'ua mumas **გა**) – „შვილი მამას გავს“;

3. „აშენა“; გიორგიქ ცუდე ა-გგ (Giorgikh žude a-**გა**) – „გიორგიმ სახლი ა-აშენა“;

4. „იგო“; პეტრექ ლაფაფი მი-გგ (P'etrek' lažap'hi mi-**გა**) – „პეტრემ თამაში მო-იგო“;

5. „უგო“; პეტრექ ლაფაფი მუ-გგ (P'etrek' lažap'hi mu-**გა**) – პეტრემ თამაში მო-უგო“;

6. „აგო“; ყამა ორჩხეს ქალა-გგ (q'ama orčxes k'hala-**გა**) – „ხმალი ქარქაშში ჩა-აგო“;

7. „აგო“; მარდი გინა-გგ (mardi gina-**გა**) – „მადლი მი-აგო“;

8. „იხადა“; ვალი გინი-გვ (vali gini-გა) – „ვალი გადა-იხადა“;
9. „იცვა, (-ირგო)“; ხეშთათმანი ქიმი-გვ (xeš^hat^hmani k^himi-გა) – „ხელთათმანი მო-ცვა (მო-ირგო)“;
10. „არტყა“; კეტი ქიმიო-გვ (k'et'i k^himio-გა) – „კეტი ჩა-არტყა“;
11. „აგნო“; ურყი ტყაშე ძიუთ გვშა-გვ (urq'i tq'aše ziut^h gaša-გა) – „უღრანი ტყიდან ძლივს გამო-აგნო“;

12. „მიწა“; გა/გე/გი (ga/ge/gi) – „დედამიწა“.

ძა. 1. „-დო“; ჭირქა ტაბაკის ქიგლა-დვ (č'irk^ha tabak'is k^higla-და) – „ჭირქა მაგიდაზე და-დო“;

2. „-იცვა“; ჩაფულა ქიმი-დვ (č'ap^hula k^himi-და) – „ფეხსაცმელი ჩა-იცვა“;

3. „-ვიდა“; ასე ი-დვ (ase i-და) – „ახლა წა-ვიდა“.

ვა. 1. „ვგ/ვო/ვა“ (va/vo/va) – წუხილის, ვაების, არასასიამოვნო განცდის გამომხატველი შორისდებული. ვვვვვვვ-ვვვვ (vəəəəəə - vəvə) შეიცხადებენ იბერი ქალები; ვო-ვა, ვა-ვა (vo-va, va-va) – კაცები;

2. „ვა/ვე“; ვა-რე (va re) – „არ არის“; ვე-ლაყაფუ (ve - laʔap^hu) – „არ ითამაშა“.

ჯა. 1. „ზილა“; ცომი ზვ (comi ჯა) – „ცომი ზილა“;

2. „ანთია“; დაჩხერი ზვ (dačxəri ჯა) – „ცეცხლი ანთია“;

3. „აზავა“; მანხუპერი ბოშეფი გა-ზვ (mačxup'eri bošep^hi ga-ჯა) – „მონხუბარი ბიჭები და-აზავა“.

ჰა. ბგერა-სიტყვა ჰვ (ჰა) იმ ნივთიერი მასის სახელდების გამომხატველია, რომლითაც ვსუნთქავთ, ვყნოსავთ და ვისმენთ, ე.ი. იმ სასიცოცხლო რეალობისა, რომლის გარეშე ორი წუთი ვერ ძლებს ცოცხალი არსება და რომელიც კი არ წარმოითქმება, არამედ ამოისუნთქება.

ტა. 1. „თოვა“; თვ დო თვ... დო სუმი დღადოსერც უჭყვადუო თვნღ (t^hə do t^hə, ... do sumi dyadoserc uč'q^hvaduo t^hənda) – „თოვა და თოვა,... და სამი დღელამე უწყვეტად თოვდა“;

2. „ოჯახი“; იბდათ ჩქიმი თი-შა (ibdat^h čk^himi t^hi-ša) – „წავიდეთ ჩემს ოჯახში“.

3. „ათავა/ასრულა“; გიორგიქ საქვარი გა-თვ (Giorgik^h sak^hvari ga-t^hə) – „გიორგიმ სამუშაო გა-ათავა/გა-ასრულა“.

კ'ა. 1. რკო – მუხის ნაყოფი;

2. „-იკავა“; ბესოქ დიხა მი-კვ (Besok^h dixā mi-k'ə) – „ბესომ მიწა მო-იკავა“;

3. „აწროთ“; პეტრექ ყამა ჯგირო გაგმო-კვერვ (P'et'rek^h q'ama žgiro gagmo-k'vera) – „პეტრემ ხმალი კარგად გამო-აწროთ“.

ლა. 1. „ვარდება“; ქუა დიხას ლვ (k^hua dixas la) – „ქვა მიწაზე ვარდება“. ზოგადად, ვარდნა.

2. „-ვლო“; იქ მთელი ქიანა მი-ლვ (ik^h mt^heli k^hiana mi-la) – „მან მთელი ქვეყანა მო-ვლო“;

3. „-იძია“ (იკვლია); გიორგიქ ი აკანი ჯგირო გი-ლვ (Giorgik^h i ak'ani žgiro gi-la) – „გიორგიმ ის არემარე კარგად მო-იძია /მო-იკვლია“.

მა. 1. „მე/მა“ (mə/ma) – პირის ნაცვალსახელი – „მე“;

2. „მე/მი/მინ“ (mə/mi/min) – კითხვითი ნაცვალსახელი – „ვინ“;

3. „მე/მუ (mә/mu) – კითხვითი ნაცვალსახელი – „რა“.

ნა. 1. „ნე/ნა (nә/na) – „წყალი“; გადატანითი მნიშვნელობით – „წყარო სიცოცხლისა“, ან კიდევ „ღმერთი შემოქმედი“;

2. „ენო“; ბალანას თოფურქ ე-ნე (bayanas tʰopʰurkʰ e-nә) – „ბავშვს თაფლმა ა-ენო“.

პ’ა. 1. „ბაგე“; პეპე/პიპე (p’әp’ә/p’ip’u) – „ბაგეები“;

2. „მყო“; მა ღორონთიქ პე (ma ოორontʰikʰ p’ә) – „მე ღმერთმა მყო“ (მქმნა).

ჰა. 1. „ხვეით“; ჯე/ჟი (ჰა/ჰი); დიხას ჟი ცა რე (dixas ჰი ca re) – „მიწის ხვეით ცაა“;

2. „ჯე/ჟა (ჰა/ჰა) – „მზე“.

რა. „რე/რე“ (rә/re) – „არის“.

სა. „შარდა“, ზოგადი ფორმით, შარდვა. გადატანითი მნიშვნელობით: შეება, სიამოვნება, ნეტარება.

ტ’ა. 1. ცური;

2. „-ტოვა“; ილიაქ ნათელი კვალი დი-ტე (Yliakʰ natʰeli k’vali di-t’ә) – „ილიამ ნათელი კვალი და-ტოვა“;

3. „-ტევა“; ღორონთიქ ცოდა მიუ-ტე (ოორontʰikʰ coda miu-t’ә) – „ღმერთმა ცოდვა მიუ-ტევა“.

4. „-ტევა“; ლეხიქ შური გო-ტე (lexikʰ šuri go-t’ә) – „ავადმყოფმა სული განუ-ტევა“;

5. „-შეა (-ანთავისუფლდა)“; ბალანაქ ჩიტი გოუ-ტე (bayanakʰ čit’i gou-tә) – „ბავშვმა ჩიტი გაუ-შეა“ (გა-ანთავისუფლდა);

პ’ა. 1. „ფენა“; ჯე/ფა (p’ә/p’ә); ჰარი p’ә – „ორი ფენა“;

2. „ადუღდა“; წყარქ ქო-ფე (c’q’arkʰ kʰi-p’ә) – „წყალი კი ადუღდა“.

კ’ა. 1. „-ფქვა“; პეტრექ ქობალი დო-ქე (P’et’rekʰ kʰi-bali do-k’ә) – „პეტრემ ხორბალი და-ფქვა“;

2. „-ქმნა“; ზვამბაქ ი-ქე ე საქმე (Zvambakʰ i-k’ә e sakʰme) – „ზვამბამ ი-ქმნა ეს საქმე“.

ყა. 1. „ბუ“ – ღამის ფრინველი; ღე/ფუ (ყა/ყა) იბერიულ ენაზე ამ ფრინველისთვის შერქმეულია მის მიერ გაღებულ ბგერათა კომპლექსზე ღე-ღეღე-ღეღეღე (ყა-ყაა-ყაააა) ხმაბაძვით;

2. „-ილო“; ქეთიქ წიგნი მიდე-ღე (K’etʰikʰ c’igni mid-qә) – „ქეთიმ წიგნი წა-ილო“;

3. „-იტანა“; გოგიქ ოღალი ქიმი-ღე (Gogikʰ oოali k’imi -qә) – „გოგიმ ტვირთი მო-იტანა“.

ღ’ა. „იყვირა“; აჭოუ დო ყე (აჭ’ou do ო’ә) – „ეტკინა და იყვირა“.

წა. 1. „ხველი“; შე დიხა (წა dixә) – „ხველი მიწა“;

2. „ახსოვს“; ის იფრელი შე (is ipʰreli წა) – „მას ყველაფერი ახსოვს“. ზოგადი ფორმით, ხსონა, მახსოვრობა;

3. „-დიოდა“/„ველიდა“; ჩქარას მი-შე (čkʰaras mi-წა) – „ჩქარა მი-დიოდა“/„ველიდა“;

4. „სვა“; თამადაქ ბრელი ღვინი შე/შუ (tʰamadakʰ breli ოვინი ras წა/წუ) – „თამადამ ბვერი ღვინო სვა“;

5. „ქსოვა“; ბებოქ ხეშითათმანეფი შე (bebokʰ xesitʰatʰmanepʰi წა) – „ბებომ ხელთათმანები ქსოვა“.

წა. 1. „აჭამა“; ოჭკუმალი ჩე (očk’umali წა) – „საჭმელი აჭამა“. ზოგადი ფორმით, კეება;

2. „სცა“; სიკეთე გო-ჩე (sik'et^he go-č'a) – „სიკეთე გა-სცა“;
3. „ინახა“; საბუთევი ჯგირო დო-ჩეგ (sabut^hep^hi žgiri do-č'a) – „საბუთევი კარგად შე-ინახა“.

ცა. 1. „თელა“ – ხის ჯიში;

2. „სცემა“; კეტიო ცე (k'et^hi'it^hca) – „კეტიო სცემა“;

3. „სცა“; პატივი ცე (p'at^h'ii ca) – „პატივი სცა“.

ჯა. 1. „ძეგს“ (დეგს); ჯა დისას ძე (ža dixas ž'a) – „ხე მიწაზე ძეგს“;

2. „ძოვა“; ცხენქ ნდოლო ძეგ (cxenk^h ndolo ž'a) – „ცხენმა მდელი ძოვა“.

ც'ა. 1. „წელს“; წე ჯგირი მოსავალი იგუაფუ (c'a žgiri mosavali ižuafu) – „წელს კარგი მოსავალი იქნება“;

2. „წოვა“; ჩქეჩქე ქუქუ წეგ (čk^hčk^hčk^h kuxu c'a) – „ჩვილმა ქუქუ წოვა“;

3. „იწია“; ბესოქ ჯგირი მოსავალი მი-წეგ (besok^h žgiri mosavali mi-c'a) – „ბესომ კარგი მოსავალი მო-იწია“.

ც'ა. 1. „ნაწლავი“;

2. „-კერა“; კაბა დო-ჭეგ (k'aba do-č'a) – „კაბა შე-კერა“;

3. „-წვა“; დაჩხერცე დო-ჭეგ (dačxerc'a do-č'a) – „ცეცხლში და-წვა“.

ღა. 1. პეში;

2. „ამხია“; დუდიგიმე ვე/ვე (dudigime q^h/q^h) – „თაქვე ამხია“;

3. „-შალა“; კარე დო-ვეგ (k'are do-q^h) – „კარავი და-შალა“.

ხა. 1. „ხელი“; ხე/ხე ქიმეთხე (xa/x'e k^himethx'a) – „ხელი მოჰკიდა“;

2. „ზის“; მაფა ტახტის ხე/ხე (map^ha t'axt^h'is xa/x'e) – „მეფე ტახტზე ზის“;

3. „შვა“; თხაქ ქაცარი ხე (t^hxak^h k^hacari xa) – „თხამ თიკანი შვა“.

ჰა. 1. „ხე“; ხუმლა ჯე/ჯე გედგე (xumla ž'a/ž'a gedg'a) – „ხმელი ხე დგას“;

2. „-წვა“; დინ-ჯე (din-ž'a) – „და-წვა“.

ჲა. „ჰყო“; იფრელი ღორონთიქ იე (ip^hreli yoront^hik^h ოა) – „ყველაფერი ღმერთმა ჰყო“.

ბ) ბუნებაში არსებული ბგერათა ჰარმონიული კომპლექსები:

ტ'ღა. „ცრუ“; ტეგ რე (t'q'a re) – „ცრუ არის“;

ჩა. „ცხელი“; ჩხე/ჩხე რე (čxa/čxe re) – „ცხელი არის“;

ჟა. მსუქანის, გამ-ძღა-რის (gam-žya-ris), ანუ კარგად ნაკეების გამომხატველი ჰარმონიული ბგერათ კომპლექსი;

ც'ღა/ც'ღა. 1. „იჭყივლა“; ჩიტიქ ჭეგ (čit^hik^h č'q'a) – „ჩიტმა იჭყივლა“;

2. „დაწყივლა“; ღორონთიქ ჭეგ (yoront^hik^h č'q'a) – „ღმერთმა დაწყივლა“;

ჟა/ჟა. „იჯღავლა“; ყვარუას ოჩიქ ჯღეგ (q^hvaruas očik^h ž'a) – „დაკოდვისას ვაცმა იჯღავლა“.

გარდა ამისა, არსებობს ბგერათა ჰარმონიული კომპლექსები sc'ა, p'xa, p'q'ა, cxa და c'q'ა, რომლებიც ბუნებრივი წარმოშობის ჩანან, მაგრამ, ჯერჯერობით ვერ მოვიძიეთ, უშუალოდ, ამ კომპლექსების გამოცემი რეალობები. ქართულ ენაში დადასტურებული კომპლექსები cxa and c'q'ა ბუნებრივი წარმოშობის, იბერიულ ენაში დადასტურებული ოცა და ო'q'ა კომპლექსების ქართული შესატყვისი ფორმები უნდა იყოს.

V. ქართველური სიტყვების რეკონსტრუქციის საშუალებით წინარე ნოსტრატული ენის არქტიპებისა და წინადადებების აღდგენის მეთოდი

აღსანიშნავია, რომ მეგრულ (იბერიულ) ენაში, არსებულ 30 თანხმოვანზე აგებული 30 ბგერა-სიტყვით წარმოდგენილია, საერთო ჯამში, 86 ომონიმი. მათ შორის: არსებითი სახელი – 15, ზმნა, კერძოდ, მე-3 პირის – 63, შორისდებული – 1, ნაწილაკი – 1, ნაცვალსახელი – 3, გარემოება (ზმნისზედა) – 2 და ზედსართავი სახელი – 1. ე.ი. გრამატიზირების ნიშნები ბგერა-სიტყვებსა და ბგერათა ჰარმონიულ კომპლექსებში თავიდანვე იყო ჩადებული. ამიტომ იშვიათად, მაგრამ წინარე ნოსტრატულ ენაში გვხვდება კარგად გრამატიზებული და სუსტად გრამატიზებული არქაული წინადადებებიც.

იმისათვის, რომ აღვადგინოთ წინარენოსტრატული, იგივე, ბუნების ენის არქტიპები და წინადადებები, საჭიროა დავადგინოთ განსახილველი სიტყვები შედარებით გვიანდელი წარმონაქმნია, თუ წინარე ნოსტრატული ენის ფუნქციონირების ხანაშია ჩასახული. ამისთვის საჭიროა განსახილველი სიტყვის შემადგენლობაში შემავალი ყველა ხმოვანი შევცვალოთ ნეიტრალური ა ხმოვნით, რომლის დროსაც შეიძლება მივიღოთ სამი სახის არქაული წინადადება:

- a) როცა არქაულ წინადადებაში შედის მხოლოდ ბგერა-სიტყვებით წარმოდგენილი არქტიპები;
- b) როცა არქაულ წინადადებაში შედის ერთი და მეტი ბგერა-სიტყვა და ბუნებაში არსებული ბგერათა ჰარმონიული კომპლექსი;
- c) როცა არქაულ წინადადებაში შედის ერთი და მეტი ბგერა-სიტყვა და არქაული ხანის სოციუმში წარმოშობილი ბგერათა ჰარმონიული კომპლექსი, რომელიც ამავე წინადადებაში შემავალი ბგერა-სიტყვებით წარმოდგენილი არქტიპების გაერთიანების შემდეგ ორ თანხმოვანს შორის არსებული ნეიტრალური ა ხმოვნის სინკოპირების შედეგია.

სოციუმში წარმოშობილი ბგერათა ჰარმონიული კომპლექსის ჩასახვისდროინდელი ფორმის აღდგენის შემდეგ მიიღება „ა“ სახის არქაული წინადადება.

აღნიშნული მეთოდით შესაძლებელია მხოლოდ წინარენოსტრატული ენის ფუნქციონირების ხანაში ჩასახული სიტყვების ეტიმოლოგიისა და შინაარსის დადგენა. ე.ი. დღემდე ხმარებადი (მაგრამ არქაული ხანაში ჩასახული) სიტყვების რეკონსტრუქციით აღდება არქტიპებით შედგენილი არაგრამატიზირებული წინადადებები. თუ აღმოჩნდება, რომ უკანასკნელის თანამედროვე დონეზე გრამატიზირებით მიღებული აზრი ზუსტად განსაზღვრავს შესასწავლი სიტყვის მნიშვნელობას, ნიშნავს, რომ ის ჩასახულია წინარენოსტრატული ენის ფუნქციონირების ხანაში და იმდროინდელი არქტიპები და წინადადება სწორადაა აღდგენილი.

განსახილველი სიტყვის ჩასახვისდროინდელი ჰეშმარტი არქტიპების აღსადგენად, ყოველთვის, აუცილებელია აბლაუტის შესაძლო მოვლენის გათვალისწინება.

VI. წინარენოსტრატულ ენაზე მეტყველების ფორმების აღდგენა

ზემოაღნიშნულში მეტი სიცხადის შესატანად, განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

ა) **ნოსტრატულ** (ლათ. **nostratos** – ჩვენი) **ენათა ლექსიკონიდან**:

1. პროტო ინდო-ევროპულში გვაქვს ბორ (**bor**) ***br-to-beore, bori – erce**; პროტოაფროაზიურში **буинный**, გახვრეტილი; პროტოურალურში **pura, bur**; პროტოდრავიდულში ***pur (vb)**, რომ დავასხათ, პერფირირება რომ მოვახდინოთ, **borer**; პროტოალტაურში. – ***burv** – გარღვევა, გახვრეტა; საშუალო შუმერულში **b' r'** – გარღვევა, გაჭოლვა; (Bomhard, ტ. I, 2018, გვ. 16). ქართულში **buryva // buryua**; მეგრულში **rxuala** – გაბურღვა, გახვრეტა.

აქ მნიშვნელოვანია **rxu** და **ryu** ძირის ურთიერთშესატყვისობა, რომლის პირველსაწყისი, ჩასახვისდროინდელი ფორმა უნდა ყოფილიყო **ra xa**, რაც თანამედროვე მეტყველების დონეზე ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: **არის (ra) შობა (xa)**, ანუ **არის [ახალი სასურველი რეალობის] შობა**. და, მართლაც, გაბურღვით, არსებული რეალობიდან, ახალი, უფრო სრულყოფილი რეალობა იშობა.

2. იბერიულ სიტყვას <<**baba**>> (მამა) უცვლელად იმეორებენ ქართველური ენები და არაბული ენა. კარგად შეესატყვისება პროტო-სემიტური <<**bab**>> (მამა) ეტრუსკულ <<**papa**>> (ბაბუა), ინდოევროპული (ფალაური) **pa-a-pa-aš** (მამა), შუმერული **ba-ba-ba** (მოსუცი) და ა. შ. (Bomhard, ტ. II, 2018, გვ. 9).

აღნიშნული ურთიერთშესატყვისი სიტყვების ძირი უნდა იყოს **baba**, ორმაგი **ba**, რაც პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს ბმას, კავშირს, იგულისხმება ბიოლოგიური ბმა, უწყვეტობა: შვილი – მამა – ბაბუა. ქართ. **ba-všvi** და **bi-č'i**, მეგრ. **ba-γana** და **bo-ši**, ლაზ. **be-re** ბიოლოგიურ ბმას, შვილს გამოხატავენ.

3. არამეულ ენაში არის ქართული **k^herk^hi**-ს შესატყვისი **kerūm** (ქერქი, ტყავი), საპარულ ბერბერტუარეგებში **a-urum** (ქერქი); ჩადური ჯგუფის მუაბურ ენაში **kuroro** (ნაჭუჭი, ქერქი); ლათინურსა და ძველრუსულში **k'ora**; ძველმონღოლურში **körü - süm** (ტყავი); იაპონურში **k'ara** – ნაჭუჭი, ქერქი (Долгопольский, 1971-1972, გვ. 117).

ჩვენი აზრით, სიტყვა **k^herk^hi** და მისი შესატყვისი ფორმები სხვადასხვა ენებში ნაწარმოებია ძირისეული ფორმიდან **k^ha ra k^ha → k^herk^hi**, სადაც **k^ha** ნიშნავს **ქმნა-ს**, **ra** – **არის-ს**. მაშინ **k^ha ra k^ha // k^herk^hi** ნიშნავს **მქნელი არის მქნელი**. და, მართლაც, ქერქია მერქნის მქმნელი, რომლის გარეშე, მერქნის ვერავითარი ზრდა-განვითარება და ქმნა ვერ განხორციელდებოდა.

ბ) **რუსული ენიდან**:

რუსულში გვაქვს სიტყვა **lečenie** – მკურნალობა. თუ ეს სიტყვა ჩასახულია ერთიან ენაზე მეტყველების ხანაში, უნდა ჩასახულიყო ფორმით **la ča na**. ასეთი გაერთიანებული ფორმით აღნიშნული ძირისეული ფორმა ბუნებაში არ არსებობს. მეგრულ ენაში კი გვაქვს ცალ-ცალკე ბგერა-სიტყვები **la** – **ვარდება, ვარდნა**; **ča** – აჭამა, კვება; **na** – **წყალი, წყარო სიცოცხლისა**, მაშინ, თუ ერთიან ენაზე მეტყველების ხანაში გამოთქვამდნენ ერთობლიობაში სიტყვებს: **ვარდნა + კვება + სიცოცხლის წყარო** ნიშნავს, რომ სურდათ ეთქვათ: **ვარდნილის კვება სიცოცხლის წყაროთი**. თანამედროვე მეტყველების დონეზეც **ვარდნილის, ანუ ლოგინად დაცემულის კვება სიცოცხლის წყაროთი**, სხვა არაფერია, თუ არა მკურნალობა.

2. **k'niga** – წიგნი. მისი ძირისეული ფორმა უნდა ყოფილიყო **k'a na ga**, სადაც **k'a** მეგრულ ენაზე ნიშნავს **წრთობას**, **na** – **წყალს** (პირდაპირი მნიშვნელობით), გადატანითი მნიშვნელობით, წყაროს

სიბრძნისას, **გა** – აგოს, ზოგადი ფორმით, **აგება**-ს, მაშინ ამ სიტყვებით გამოთქმული წინადადება ასეთი არსით გვევლინებოდა: **[გონების] წრთობით ნაგები წყარო [სიბრძნისა] და წიგნიც სხვა არაფერია.**

გ) **ებრაული ენიდან:**

1. ებრაულ ენაში გვაქვს სიტყვა **daluti** – მათხოვარი. მისი ძირისეული ფორმა უნდა ყოფილიყო **da la t'a**, სადაც **da** მე-3 პირის ზმნაა და ნიშნავს **do**-ს, ზოგადი ფორმით, **დება**-ს, **la**, როგორც აღენიშნეთ, ნიშნავს **ვარდნა**-ს, **t'a**-ც მე-3 პირის ზმნაა და ნიშნავს **შვა**-ს, ზოგადი ფორმით, **შობა**-ს. მაშინ **dalut'i** ← **da la t'a** ნიშნავს: **დება – ვარდნისთვის** შობილი, ანუ უმოქმედოდ დაცემისთვის შობილი. და, მართლაც **უმოქმედოდ დაცემისთვის შობილი** მათხოვრობისთვის არის განწირული.

2. ებრაელი კაბალისტები წერენ, რომ პირველად ენას **t'anaxa** ერქვა. ამ ენით იყო, თურმე დაწერილი თორა და წმინდა წერილები, მაგრამ დამაჯერებლად ვერ ხსნიან ამ სიტყვის ეტიმოლოგიას. სიტყვა **t'anaxa** ებრაულად მხოლოდ თანხმოვანი ბგერებით **t'nx** იწერება, სადაც **t'** მათი აზრით ნიშნავს **t'hora**-ს, ხუთწიგნეულს, **n** – **nevim**-ს (წინასწარმეტყველებს), **x** კიდევ, **k't'uvim**-ს (წმინდა წერილებს). (ბოდიშს ვუხედი მკითხველს იმის გამო, რომ ვერ ვუხსნი ბგერა **x** სიტყვასთან **k't'uvim** რა კავშირშია).

იბერიულ ენაზე სიტყვაში **t'anaxa t'a** ნიშნავს **ნათელს** (იგულისხმება, უზენაესი, ღვთიური სიბრძნე), **na** – წყალი, წყარო სიცოცხლისა, გადატანითი მნიშვნელობით, ღმერთი – შემოქმედი. **xa**-ც მე-3 პირის ზმნაა და ესეც **შვა**-ს ნიშნავს, ზოგადი ფორმით, **შობა**-ს. მაშინ ენა **t'anaxa**-ს ძირისეული ფორმა **t'a na xa** // (ნათელი – ღმერთი – შობა) ნიშნავს **ნათელით ღვთისა შობილი** ენა. და, მართლაც, პირველადი ერთიანი ენა უზენაესი შემოქმედის ფიზიკური გამოვლინების – ბუნების კარნახით (მისი სიბრძნით) შობილი ენაა.

დ) **ქართული (იგივე, ახალი იბერიული) ენიდან:**

თოვლი აბსოლუტურ სიბნელეში იმდენად გარკვევით ჩანს, რომ შეიძლება **ხილვადობის, ნათელის** ეტალონად ჩაითვალოს. ამიტომ თუ უნდოდით ეთქვათ: „ყველაზე ხილვადი რეალობა მოველინა არემარეს“, ამ რეალობას ისინი ასე გამოხატავდნენ: **na t'a ra** (წყალი – თოვა – არის). აქედანაა თანამედროვე სიტყვა **natheli** (**na't'ara** → **na't'are** → **nathere** → **nath'ele** → **nath'eli**).

ე. ი. თოვლად მოვლენილი წყალია ხილვადი, თორემ ღამის სიბნელეში სხმული წყალი უხილავია, ანუ **ბნელია** (ქართ. **bneli**). ამიტომ ამ რეალობას იმ ხანად ასე გამოხატავდნენ **ba na ra** (სხმა – წყალი – არის). **ba na ra** → **ba'na re** → **bne re** → **bnele** → **bneli**; თუ უნდოდით ეთქვათ სიტყვა „სიცრუე“, იტყოდნენ: <<**t'q'aa ra**>> (ცრუ არის). აქედანაა მეგრ. **t'q'ura** და ქართ. **t'q'uili**; ცნებების „ახალი“-სა და „ძველი“-ს არსს ახლახან დამზადებული საგნის მოკლე დროში გაცვეთა, ან კიდევ საუკუნეების წინათ დამზადებული საგნის ხარისხის უცვლელად შენარჩუნება ვერ განსაზღვრავს. ამიტომ, თუ უნდოდით ეთქვათ <<**axali**>> (new), იტყოდნენ: <<**a xa ra**>> (აი-შვა-არის); თუ უნდოდით ეთქვათ სიტყვა „**zveli**“ (old), იტყოდნენ „**zaa ra**“ (ძვეს არის) (**zaa ra** → **zue re** → **zuele** → **zueli** → **zveli** და ა. შ).

ახლა ვნახოთ, როგორი სურათია ერთი ძირისეული ფორმიდან წარმოშობილ სიტყვებს (**k'et'hili** და **sa-k'uthari**) შორის (სიტყვაში **k'et'hili** ბგერა **l** ბგერის **r** რელაქსაციის, ანუ დარბილების შედეგია).

ბგერა-სიტყვა **k'a** სიტყვაში **k'e t'hili** (←**k'a t'a ra**) ნიშნავს **წრთობას**, სიტყვაში – **k'uthari** (←**k'a t'a ra**) – **კავებას** (მო-კავებას), ხოლო ბგერა-სიტყვა **t'h** სიტყვაში **k'et'hili** ნიშნავს **ნათელს**, ღვთიურ სიბრძნეს, სიტყვაში – **k'uthari** კი **თავს**. მაშინ, სიტყვა **k'et'hili**, სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: **წრთობა ნათელისა არის**. და, მართლაც, ყველაზე კეთილი რამ ადამიანის ქმედებაში **ნათელის**, ანუ **სიბრძნის წრთობაა**. ყველა

დანარჩენი, მასთან შედარებით, მხოლოდ დათვური სამსახურია; ხოლო – **k'ut'hari** სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: **მოკავებული თავისთვის არის**. საკუთარიც სხვა არაფერია, თუ არა და, თავისთვის მოკავებული რეალობა; იბერიული სიტყვაც **k'it'i** (← **k'a t'a**), ქართულად თითო, სწორედ, რომ სხეულის თავისთვის მომკავებელი ნაწილია.

როგორც ვნახეთ, აქ განხილულ სიტყვებში კარგად ჩანს, წინარე ნოსტრატული ენის ლექსიკასა და თანამედროვე იბერიული ენის ლექსიკას შორის ცოცხალი კავშირი.

კვლევის შედეგები

კვლევის შედეგად დადგინდა: 1. ყველა ენისათვის საერთო სამეტყველო ბგერების, ანუ ფონემების წარმოშობის საფუძვლები – **ბგერა-სიტყვები**, ბგერა-სიტყვებისა და ბგერათა ჰარმონიული კომპლექსების გამღები ფიზიკური რეალობები; 2. ბგერა-სიტყვებისა და ბგერათა ჰარმონიული კომპლექსებისგან მნიშვნელობების მიღების საფუძვლები; 3. რომ იმ ხანად, როცა გრამატიკული საშუალებები არ არსებობდა, ადამიანები თავიანთი აზრის გადმოცემას ბგერა-სიტყვებისა და ბგერათა ჰარმონიული კომპლექსების კომბინაციებით ცდილობდნენ; 4. კაცობრიობის ყველა ენებს შორის იაფვეტურ-იბერიული ენის პირველადობა.

დასკვნა

ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ თუ სიტყვას სხვადასხვა ენაში მოეპოვება შესატყვისი ფორმები, ნიშნავს, რომ მათი საერთო ძირი ჩასახულია პირველადი ერთიანი ენის ფუნქციონირების ხანაში და შესაძლებელია იბერიულ ენაში არსებულ ბგერა-სიტყვებისა და ბგერათა ჰარმონიული კომპლექსების მნიშვნელობათა საშუალებით დავადგინოთ ამ ძირისეული ფორმების მნიშვნელობები. ხოლო თუ სიტყვას სხვა ენებში არ მოეპოვება შესატყვისი ფორმები (ან შესაძლოა, არსებობდეს და შესწავლილი არ იყოს), მაგრამ ჩვენს მიერ შემუშავებული მეთოდით და იბერიულ ენაში არსებული ბგერა-სიტყვების მნიშვნელობათა გამოყენებით შესაძლებელია მისი ზუსტი ეტიმოლოგიის დადგენა, ნიშნავს, რომ ის ჩასახულია პირველადი ერთიან ენაზე მეტყველების ხანაში და ჩამოყალიბებულია იმ პერიოდის ლექსიკის შემდგომი შეკავშირება-გაერთიანებით.

ამრიგად, აღნიშნული მეთოდით შესაძლებელია დავადგინოთ ნოსტრატულ ენათა ლექსიკონში შესული ყველა შესატყვისი სიტყვათა ძირისეული ფორმა, მათგან მნიშვნელობის მიღების საფუძველი, ანუ პირველად ერთიან ენაზე მეტყველების ხანაში გამოყენებადი ლექსიკა და, შესაბამისად, ავადგინოთ წინარე ნოსტრატული, იგივე, კაცობრიობის პირველადი ერთიანი ენა.

ამასთან, ეს მოკრძალებული ნაშრომი ღირებულია იმით, რომ ამით გზა გაიკვალა ენათმეცნიერებაში გადაუჭრელ პრობლემად მიჩნეული ამოცანის გადაჭრისკენ, კერძოდ, კაცობრიობის პირველადი, ერთიანი ენის აღდგენისაკენ, რაც, ფიქრობთ, წინ გადადგმული ნაბიჯია ბუნების დღემდე უცნობ საიდუმლოებების შეცნობისკენ და, შესაბამისად, ადამიანის სულიერ-ზნეობრივი აღმავლობის მიმართულებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბიბლია, (1991) *ახალი აღთქმა და ფსალმუნები*, სტოკჰოლმი, ბიბლიის თანგმნის ინსტიტუტი (biblia (1991) *axali aykhma da p^hsalmunebi*, Stok'holmi, bibliis t^hargmnis instituti);
2. Bomhard, A. (2018) *A Comprehensive introduction to Nostratic Comparative linguistics, with special Reference to indo – European*, volume 1.2. third revised corrected and expanded edition, florence, sc;

3. გამყრელიძე, თ. მაჭავარიანი, გ. (1965) *სონანტო სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში*, თბილისი, „მეცნიერება“ (Gamq'relize, T. Mač'avariani, G. (1965) *sonant'ḥa sist'ema da ablaut'i kharthvelur enebši*, Tbilisi "mecniereba");
4. გამყრელიძე, თ., და სხვ. (2003) *თეორიული ენათმეცნიერების კურსი*, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (Gamq'relize, T. da sxv. teoriuli enat'mecnierebis k'ursi, Tbilisi, Tbilisis saxelmc'ip'ho universit'et'i);
5. Долгопольский, А. (1971-72) *Какие языки родственны европейским?* Наука и человечество, международный ежегодник, 106-118.
6. ნებერიძე, გ. (1991) *ენათმეცნიერების შესავალი*, თბილისი, „განათლება“ (Nebierize, G. (1991) *enat'mecnierebis sesavali*, Tbilisi, "ganat'leba");
7. ორბელიანი, ს. (1991-1993) *ლექსიკონი ქართული*, ტ. I, II, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, „მერანი“ (Orbeliani, S. (1991-1993) *lek'ḥsik'oni k'art'uli*, t'. I, II. Sak'arthvelos mecnierebat'ḥa ak'ademia, Tbilisi, "merani");
8. ჩიქობავა, ა. (1950-1964) *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*, ტ. I-VIII, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია (Cikhobava, A. (1950-1964) *Kharthuli enis ganmart'ebithi lekhsik;oni, t'. I-VIII. Tbilisi, Sakharthvelos mecnierebatha ak'ademia*);
9. ფენრიხი, ჰ., სარჯველაძე, ზ. (2000) *ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი*, თბილისი, ს. ს. ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი (P'enrixi, H., Saržvelaže, Z. (2000) *K'arthvelur enat'ḥa et'imologiuri lek'ḥsik'oni*, Tbilisi, S.S. Orbelianis saxelobis saxelmc'ip'ho p'edagogiuri instituti);
10. ძაძამია, მ., ძაძამია, ც. (1997) *ენის წარმოშობის საიდუმლოება*, ზუგდიდი, ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი (zazamia, M., zazamia, C. (1997) *enis c'armošobis saidumloeba*, Zugdidi, Zugdidis damouk'idebeli universit'eti);
11. ძაძამია მ., ძაძამია ც., ვახანია ვ. (2007) *მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმოშობა*, ტ. I, თბილისი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია (zazamia, M., zazamia, C., Vaxania, V. (2007) *megruli enis lek'ḥsika da sit'q'vat'c'armomavloba, t'. I*, Tbilisi, ap'xasetis mecnierebat'ḥa ak'ademia).